№ 233. ოქტომბრის 28, კვირა. 1866—1884 ოქტომბრის 28, კვირა. № 233.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი ნოემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 2 მანათი.

### არწრუნისეული თეატრი

დღეს, კვირას, ოქტომბრის 28-ს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახლად შესწორების შემდეგ

პირველად

**არსენა**

დრამა 3 მოქ. ა. მოჩხუბარიძისა

და

**დატრიალდა ჯარა**

ვოდევილი 1 მოქმ., გადმოკ. ბ. ა. ყიფიანისაგან.

დასაწყისი 8 საათზედ.

### შინაური ქრონიკა

— ამ დღეებში გამოვიდა რუსულად დაბეჭდილი ბატონის გულაკის ლექციები ვეფხვის ტყაოსანზე, სახელად: О барсовой кожѣ Руставели» двѣ рѣчи, произнесенныя въ Тифлисскомъ Кружкѣ 13 и 20 Марта 1884 г. Н. И. Гулака. Тифлисъ 1884 г. ამ ლექციებზე თავის დროს ჩვენს გაზეთში იყო ანგარიში. დღეს ღონისძიება ეძლევა ყოველს რუსულის ენის მცოდნეს სრულად გაიცნოს რუსის აზრი ჩვენს უკეთესს პოეტზე. ძვირფასია დაფასება და განხილვა მსწავლულის კაცისა, რომელიც ქართველი არ არის და ქართული ენა კი შეუსწავლია და წაუკითხავს თვით თხზულება. მისი დაკვირვება, მისი განხილვა და კრიტიკა, მისი აზრები და სხვა დაგვანახვებს, გაგვასინჯვინებს ბევრს იმისთანა მხარეს რუსთაველის პოეზიისას, რომელსაც ჩვენ, ქართველნი მკითხველნი, ყურადღებას არ მივაპყრობდით. სასურველია რომ პატივცემულის ბატონის გულაკის თხზულება ქართულად გადმოითარგმნოს და დაიბეჭდოს. ბროშურა შეიცავს 60 გვერდამდე, მოზრდილის ტანის წიგნისას და საკმაოდ იაფად ისყიდება 30 კაპეიკად, შავერდოვის საგაზეთო სააგენტოში და სხვა წიგნების მაღაზიებში. ვისურვებთ ამ ბროშურის გავრცელებას მკითხველ საზოგადოებაში.

— ამბობენ, რომ სამს თბილისის მცხოვრებს რომელთაგან ორი მართლმადიდებელია და ერთი, გრეგორიანი, განუზრახავს მაჰმადის სარწმუნოების მიღება და ამ აზრით თხოვნა მიუციათ თბილისის სპარსელ კონსულისათვისაო. თქვენს სჯულს იმ პირობით მივიღებთ, თუ რამ საქმეს გაგვიჩენთ თეირანშიო, უთქვამთ ამ ახირებულ მაჰმადის მოყვარეთა.

— ერთმა პეტერბურგიდამ ჩამოსულმა ახალგაზდათაგანმა გვიამბო, რომ იქაურ ქართველთ სტუდენტობას განუზრახავს ისტორიულის ქრესტომატიის შედგენა. ამ შრომის ხელმძღვანელი და მაჩვენებელი იქნება იქაური უნივერსიტეტის პროფესორი ა. ა. ცაგარელი.

— „ნოვოე ვრემიაში“ ვკითხულობთ შემდეგს: „პეტერბურგის ლისტოკის“ რედაქციის სადგომში საზარელი მუშტი-კრივი მომხდარა. შესულან ოთხი უცხო პირი. უცემიათ რედაქტორი, და შვეიცარისთვის. პოლიცია მოვიდა და დაიჭირესო. მცემელნი ყოფილან სამსახურიდამ გამოსული როტმისტრი თავადი მიხეილ მიხეილის ძე დადეშქელიანი, ტოტმისტრი ბარონი ბრუდერი, სამსახურიდამ გამოსული შტაბს-კაპიტანი ზუბური-შვილი და ხორუნჟი ლეჟავა. თავად დადეშქელიანს ამნაირი მოქმედების მიზეზად ის მოუყვანია, რომ „პეტერბურგის ლისტოკის“ რედაქტორს არ მოუნდომებია ამის დაკმაყოფილება იმ უპატიურობისათვის, რომელიც იმისთვის მიუყენებია. ეს უპატიურება იმაში თურმე მდგომარეობდა, რომ იმ წერილს, რომელშიაც მოყვანილი იყო მომრიგებელი მოსამართლის კამერაში დადეშქელიანის საქმის გარჩევა, ერქვა —„ჭირვეული თავადი“.

### „დროების“ კორესპონდენცია

თელავი, ღვინობისთვის 17-ს. ამ ჟამად აქ იმყოფება ფილოქსერის და-

მელთაც ბრალდებათ შემდეგი: ამ «ავაზაკებს» ერთად უქეიფნიათ და, ქეიფის შემდეგ, მოსურვებიათ საზანდრით მეგობრის გაცილება რკინის გზის სტანციამდე. მშვენიერი მაისის საღამო ხელს უწყობს ამათ უბრალო სურვილს, და აი ქუჩაში გამოისმის ტკბილი თარი და თარზე არა ნაკლები ტკბილი სიმღერა საზანდრისა. მოქეიფენი მოდიან მშვიდად, წყნარად, ხანდისხან „აფერუმ, ხეჩო!“-ს ძახილით. ამათი ქეიფი გარეშე მაყურებლებში შურის მეტს არაფერსა ჰბადავს, რომ ჩვენც იმათ ლხინში არ ვერევივართო. საზანდარიც ეშხში შედის და გულსაკლავად გამოსძახის „რაჰაბს“.... ამ დროს—ლაწან! და სიმღერას გააწყვეტინებს დესეტნიკის სილა! დესეტნიკს ხელსა სტაცებენ, მაგრამ ის იძრობს ხანჯალს და მეორე ხანჯალ ამოღებულივე დესეტნიკის შემწეობით, დაერევა ამ მშვიდად მოქეიფე «ყაჩაღებს», ყაჩაღებიც დაემორჩილებიან და საქმე თავდება სასამართლოში გადმოცემულ პროტოკოლით „за нарушеніе тишины и порядка“ და ზედაც „сопротивленіе властямъ, въ лицѣ духъ десятскихъ“. მოსამართლის ჩვეულებრივს კითხვაზე, აღიარებენ თუ არა თავიანთ დანაშაულობას, ბრალდებულნი უპასუხებენ, რომ პირიქით ჩვენ თვითონ ვჩივით, სადაც ჯერ არს, დესიატნიკების თავ-გასულობაზე, და თუ ეხლა ბრალდებულის სკამზედ დაგვსხეს, ალბად გვე-

«დროების» ფელეტონი, ოქტ. 28-ს

### ხმა პროვინციიდამ

II

Правда. Такъ и ты читаешь, свинья?
Свинья. Почитываю, Только понимаю
Не такъ, какъ написано...
Какъ хочу, такъ и понимаю!

Щедринъ.

ჩემ „ხმაზე“ და ჩემ გვაროვნობაზე.—სასაცილო პროცესი.—თოფრა თუ საზანდარი? „სვერხ-შტატნოი ჩინოვნიკი“ და ტინიხიძეელი ბებრის ნატვრა.—ნავში მჯდომი და მენავე.—«ძმობა და თანასწორობა» გლეხთ-თავადთ აზნაურობაში.—წინააღმდეგი მაგალითი და პატარა ლექსი.—თარამშელი და გალილეი.—ერთი დეპუტაციის ამბავი და ერთი „Кавказ“-ის კორესპონდენციის გამო.—ახალი გამოგონება და ახირებული წერილი.

ბოდიში მკითხველთან, რომ ეს მეორედ, პოეტურად რომ ვსთქვა, «დავძარ ბაგე, გავაგონე ხმა ბულბულისა». ბულბულისა არ იყოს, ყორნისა იყოს, ეგ სულ ერთია; ვიტყვი კი, რომ ჩემი «ხმა» ბუნებით წმინდაა, ნამდვილი და ნაღდი; კაი «დობროტა» აქვს, ვაჭრები რომ იტყვიან. ხათაბალა კი არის, რომ ეს „ხმა“ ბევრს სხვა ნაირად, თავისებურად ესმით... ისე, როგორც ზემოდ მოყვანილ ეპიგრაფში შჩედრინის ხრუტუნას... რა გაეწყობა! ჩემმა პირველმა «ხმამ» ზოგს ყურთასმენა დაუტკბო, ზოგიც სრულებით გამოაყრუა; ჩემი რა ბრალია!? ან დასატკბობი რა ნახეს, ან გამოსაყრუებელი? მე ვწერდი და ვიცინოდი, და კიდევ იმიტომ, რომ გვარად ლომკირიძე გახლავარ, რომელიც, (ჩვენებური «ძე» რომ მოვაკლოთ) ფრანცუზულად ნიშნავს: კაცი, რომელიც იცინისო (ლომ, კირი.) და ადვილად შესაძლებელია რომ ჩემნი წინაპარნი, როგორც ბევრნი სხვანიც, საფრანგეთიდან იყვნენ გადმოსულნი ჩვენს კურთხეულ საქართველოში. ბევრსა ჩემი გვარი პსევდონიმი ეგონა და ძრიელ დაფაცურდენ, შეეტყოთ ვინცა ვარ, „სასტიკი ზომების“ მისაღებლად, მაგრამ ბილეთი რომ გამისინჯეს, სიცილის ნება მომცეს და მეც პოეტისა არ იყოს:

არ მშორდება მწუხარება და ჭირი,
მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი!

* * *

ჯერ მივაქცევ მკითხველის ყურადღებას ამ რამდენიმე თვის წინად მომხდარ ამბავზე; აქ მარტო მე არ ვიცინი, ჩემთან ერთად იცინის ჩვენი ღრმად პატივცემული მომრიგებელი მოსამართლე ერთი საქმის გამო, რომელსაც არჩევს. ქამერაში ბლომად პუბლიკაა. მოსამართლეს ბრალდებულებს, ბრალმდებელს და ყველა გარეშე მაყურებელს პირზე ღიმილი მოსდით. ბრალდებულებს დამცველი არა ჰყავთ, მაგრამ ადგილობრივი შიულ-ფავრი მაინც იქ არის და ფიქრობს, რომ თუ საციმბიროდ საქმე წავიდა, ორიოდე სიტყვას დავახარჯებ, კაი ბიჭები არიანო... ბრალმდებელი გამოჭიმულია ახალ-მოდნურ მუნდირში, რაღასაც ცმუკავს, ყველას უცინის; პირის სახეზედ სრულებითაც არ ეტყობა, რომ იმას ვისიმე გამტყუნება უნდოდეს, მაგრამ, თითქო რაღაც უჩინარი გარემოება ძალას ატანსო, წარსდგება ესტრადისკენ და იწყობს გამამტყუნებელს „რეჩს“:

„შეიყარნენ ყმაწვილები, უჭრდელები“...*) მაგრამ იმის „რეჩს“ თავი დავანებოთ და ჩვენად მოგითხრობთ ამ „სასაცილო პროცესის“ ამბავს. ბრალდებულის სკამზედ სხედან ხუთიოდ ახალ-გაზდა, რომელთა შორის ოთხი თავადიშვილია და ერთიც მავსერთუკიანი „გრაჟდანინი“, და რო-

*) ამ სიტყვებით იწყება ერთი ლექსთაგანი შარკის კლინიკაში მცხოვრული პოეტისა, რომლის კალამს ეკუთვნის ორიც სხვა ლექსი: „ყმაწვილებო ამოუსვით“ და „რა ვაკეთე, რას გშვრებოდი“. სამწუხაროა, რომ განათლებული საზოგადოება ჯერედ არ იცნობს (ვეცდები კი როდისმე გავაცნო) ამ პოეტს, რომელიც ფანტაზიის სითამამით, მარგალიტის ენით და ლექსების შინაარსით არ ჩამოურჩება.... ცხინვალელ თარხნას.

გ. ლ.

შენიშვნა. აშკარად სცდება ბ. ლომკირიძე. დიდებულს პოეტს შარკთან რა ხელი აქვს? იგი დასეირნობს ოთხი ცხენით კუჩრიანად“ ქართლში და ლექსებსა სწერს კარეტაში. სამივე ლექსი პოეტისგან მე შევისყიდე და დაბეჭდვის უმალოვყიდი: სოფლებში მოსამართლე—მამასახლისებთან და ქ. გორში კოლჯე სამთლიკუდთან. კონკურენციის ნება არავისა აქვს.

ერთი ასოს აწყობთაგანი.

სი, აგრონომი ზეევსკის მოთავეობით. ჯერ-ჯერობით ვენახები დაათვალიერეს შემდეგ სოფლებში:—ვაჩნაძიანში თ. ჯანდიერიშვილის ვენახები; კონდოლში თ. ჭავჭავაძეების ვენახები. — კურდღელაურში თ. შ. და რ. ვახვახიშვილების ვენახები და ბაღჩები.

განზრახვა აქვთ დაათვალიერონ: სოფ. კიზის-ხევში სახელმწიფო საჯარო ზვარი (ფერმა), რომელიც ფრანცუზ დეზირეს უჭირავს და რომელშიაც, ნამდვილად ვიცით, რომ ხუთი სხვა-და-სხვა გვარის უცხოელი ვაზი და ხილია გაშენებული. — ს. წინანდალში თ. დ. ზ. ჭავჭავაძეების ზვრები, ს. იყალთოში თ. რ. მაყაშვილის ზვარი. ს. ძისძაურში თ. ს. და ფ. ერისთავის ზვარი, ს. ენისელში თ. გ. ჯორჯაძის ზვარი, ს. ქვარელში ი გ. ჭავჭავაძის ზვარი და სხვ.

ეს განზრახვა ძალისა იმითი აიხსნება, რომ ზემოხსენებული პირნი იწერდნენ სამზღვარ გარეთიდგან ვაზს თუ ხილს. ჩვენ ვურჩევდით ბ. ზეევსკის რომ უმთავრესი ყურადღება მიექცია-ხეივანის და ეზოს ხილნარისათვის,—რადგანაც უცხოელ ვაზებს და ხე-ხილებს ღვინის გამოსაწურავად კი არა—უმეტრო ხეივან-ბაღჩებისათვის იწერავენ აქაური მემამულენი.

ენკენის თვის 21 მოვიდა შილდაში პირუტყვების ექიმი ბ. ბოლოტოვი, რომელმაც შილდის მამასახლისს ყოვლის უმიზეზოდ გვერდები აუჭრელა მათრახებით! საქმე ასე იყო: ბ. ბოლოტოვმა მოსვლისა თანავე სოფლის სამმართველოში სახლები მოიკითხა თავის დასადგომად - სახლი, რა საკვირველია, მზად არ იქნებოდა, რადგანაც მოწერილობით არ შეუტყობინებიათ მამასახლისისთვის.

— ,,სად არის მამასახლისი?

— მამასახლისი დათხოვნილია ოცის დღის ვადით—უპასუხეს-და მის მაგიერ თანამდებობას ასრულებს მისი ნაცვალი. გიახლებით და ეხლავ დაუძახებთ.

— სად არის მამასახლისის სახლი, მიჩვენეთ?!! დაიყვირა ბოლოტოვმა. — გზირებს და იქ მდგომთ მიეთითებინათ მამასახლისის სახლზედ.

ბ. ბოლოტოვი დაუკითხავად მამასახლისის ჯალაბობაში შეიჭრა და დაიწყო ლანძღვა გინებით მამასახლისის მოკითხვა. ბავშვებს შაეშინდათ—ზოგს გული წაუვიდა, ზოგმა მწარე ღრიალი მორთო. აგრეთვე მთელი ოჯახობა შემკრთალი სახტად დარჩენილიყო იმ დაუპატიჟებელი სტუმრის ლანძღვა ღრიალზედ — მამასახლისი უცებ მივიდა შინ და იკითხა — ,,რაზედა ჯავრობთო?"

— შენა ხარ მამასახლისი? დაუყვირა ჩვენმა ლიბერალმა.

— მე გახლავარ, მაგრამ ჩემს თანამდებობას ნაცვალი ასრულებს, რადგანაც მე დათხოვნილი ვარ ამ ჟამად.

— აი შენი თანამდებობაო? მისდგა მამასახლისს მათრახებით და სცემა მწარედ და უწყალოდ.

მამასახლისმა ქაღალდი შეიტანა, სადაც ჯერ იყო, და საქმის გამოძიებას თხოულობს.

ჩვენ გაკვირვებული ვართ: რა უფლება და რა საფუძველი აქვთ ამ გვარ მგზავრებს, რომ ასე ულვთოდ იქცევიან.

,,დროების" მკითხველებს ეხსომებათ, რომ წელს ძრიელ დიდი სეტყვა იყო კახეთში და განსაკუთრებით სოფ. იყალთო ისე დასეტყვა, რომ ყოველი ნამუშევარი ძირიანად ამოაგდო. — ამ სოფელში მცხოვრებთა შორის ათიოდე კომლი გლეხის მამულები გადავიდა სახელმწიფო ქონებათა გამგეობის ხელში. გამგეობა მეოთხედს იღებს (როგორც ნაყმევებისაგან) ყოველგვარ მოსავლისას. წელსაც ჩვეულებისამებრ მეოთხედი მოსთხოვეს, მაგრამ წარმოიდგინეთ დამშეული გლეხების დაწიოკება, როდესაც ნაყიდ ან ჩამონათხოვარ პურსართმევს მამასახლისი ძალათი სახელმწიფო ქონებათა გამგეობისათვის ჩასაბარებლად.

არ იქნება ურიგო, რომ სახელმწიფო ქონებათა გამგეობა მიაქცევდეს ყურადღებას ამ გლეხების წლევანდელ უიღბლო შიმშილობაში ყოფნას, დაიხსნიდეს დაწიოკებისაგან და წელს მაინც არას მოსთხოვდეს.

მეთვალყურე.

## უცხოეთი.

ინგლისი. როგორც ამ უკანასკნელ ხანებში მოსულის ტელეგრამებიდამ დაინახავდით გენ. გორდონი ვერაფერს სახარბიელო მდგომარეობაში ჩააგდეს ეგვიპტელებმა. იგი მთელის ჯარით მოემწყვდა სიმაგრე ხართუმში; გარს ახვევია მტრის ჯარი, რომელსაც გულ-მაგრად უთქვამს, რომ თუნდ ოცი წელი გავძლებ აქაო. რის იმედი აქვს ამ გვარად შემწყვდეულს გენ. გორდონს, ძნელი ასახსნელია და ეგ-კი ცხადია, რომ თვით ინგლისის მთავრობა ერთობ შეაფიქრა გორდონის მდგომარეობამ და ჯარს გზავნის მისს მისაშველებლად. მაგრამ ამ თავის საქმეებთან ინგლისი საფრანგეთის საქმეებსაც არ ივიწყებს და სხვა ევროპის სახელმწიფოებზე უფრო დაჟინებით ითხოვს საფრანგეთისაგან, რომ ამ უკანასკნელმა გამოარკვიოს თვისი მდგომარეობა ჩინეთში, ე. ი. გამოაცხადოს ოფიციალურად ომი, ანა და შესწყვიტოს ლაშქრობა, მოურიგდეს ჩინეთს და

---

ხუმრა ვინმეო. ერთი ამ ყაჩაღთაგანი თავის დამტვრეული რუსულით „რეჩსაც" ამბობს: «Батоно судья! Сами десетники на улицѣ ханжалобана игралъ, да я виноватъ?! Я самъ хачу жалотся гаспадину Губернатору, что десетникъ мене чутъ не зарѣзалъ на улицѣ какъ курицу! Ви сами, батоно судья, мене харашо знаишъ, какой я авазакъ, я даже ножикъ боюсъ!! (მოსამართლე იცინის, პუბლიკაში: ბრავო ალალო!) Кто правда авазакъ, кто кажни ночъ духанъ ламайтъ, церковъ ламайтъ, ему ничаго, а мнѣ протоколъ пишутъ, зачѣмъ говоритъ, съ Хечо гулайшь говоритъ! Гиго Тутуновъ кажни денъ и ночъ съ Хечо гулайтъ, а такой хароши чалавѣкъ цели Гори нету! (მიუბრუნდება მუნდირიან ბრალმდებელს): დემიან პეტროვიჩ! არა გრცხვენიან? მე რა ნარუშიტელი ვარ?! (ისევ მოსამართლისკენ). Я десетнику шени чириме говорилъ; руки, ноги цаловалъ, штобы ханжалъ каркашъ положилъ, да я виноватъ!!?? Вотъ спрасите свидтелевъ, батоно судья!

მოწმებიც ერთ ხმად აჩვენებენ, რომ ბრალდებულობის მხრით წინააღმდეგობა არა ყოფილა და დესეტნიკებივე ხანჯლებს ატრიალებდნენ. დესიატნიკებიც ამბობენ, ხანჯლები ამიტომ ამოვიღეთ, რომ სილა გაგვარტყეს და გვეშინოდა ხანჯლებიც არ ეხმარათო. მოსამართლის კითხვაზედ, ამათში სილა რომელმა გაგარტყათო, დესეტნიკებს უძნელდებათ ჩვენება და პუბლიკაშიაც სიცილია: ამ ,,ყაჩაღებში" ორნი ძმანი არიან, ისე გვანან ერთმანეთს, რომ იმათი გარჩევა მშობლებსაც კი გაუჭირდებათ. ,,პოდრუჩკი" რომ გაუყარონ ერთმანერთს, სიამის ტყუპებს არ ჩამოუვარდებიან. მოწმების ჩვენების შემდეგ ბრალ-მდებელი მაინც თხოულობს ამ „ყაჩაღების" დასჯას, ქუჩაში უწესოების მოხდენის გამო; მაგრამ მოსამართლე ,,აფერუმ და ჰაჯანი"-ს ძახილში უწესოებას არას ხედამს და სრულებით ამართლებს ყველა ბრალდებულებს...

საყურადღებოა, რომ მოსამართლე, შთამომავლობით რუსი, რომელიც არ არის შეჩვეული საზანდრებს და ქართველურ ქეიფს, მაინც პატივსა სცემს იმათ, როგორც ხალხის ჩვეულება, — განათლებული ქართველი კი ამავე ჩვეულებისათვის ბრალდებულების კამჩედ გვსხამს... ,,ღმერთო! უარისგან დამიხსენიო!" ლოცულობა ხოლმე ერთი უბედური კაცი. ჩვენც ასე ვილოცოთ, მაგრამ საკვირველიკია, რომ ადამიანის ღირსების ისეთი დამამცირებელი ჩვეულება, როგორც ოსური ფიცია — თოფრით და უნაგრით, უნდა პატივ იცეს და მიღებულ იქმნას, საზანდრებით ქეიფი კი საცემბირო ცოდვად გვეთვლებოდეს. ოლონდაც, რომ ზოგისა ზანზარ ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც არაო..

* * *

ჩვენ დავაწებოთ «დესეტნიკების ხანჯლობანას» მაზრის ქალაქში და გადავიდეთ თითონ მაზრაში, სოფლად. აქ არც დესეტნიკებია და არც არავის საქეიფოდა სცალიან, მაგრამ აქაც, საჭიროების და გვარად, იწერება „პროტოკოლები", „ოტნოშენიები", «პრიგოვორები», „დანესენიები" და სხვა რამეები, რისთვისაც საჭიროა რომელიმე მოხელე; დღეს ამ გვარ მოხელედ სოფლად გაჩნდა ესრედ წოდებული „სვერხ-შტატნი ჩინოვნიკი". ამ მოხელეს ტიპი ჩვენში ყოველთვის ყოფილა, მაგრამ სოფლად კი არა, ქალაქად—მაზრის უფროსის განკარგულების ქვეშ, გასაგზავნად აქეთ-იქით სოფლებში, არა ძრიელ სამძიმო საქმეებისთვის, რომლისთვისაც „შტატნი ჩინოვნიკს" არც მოიცლიდენ. ეხლა სულ სხვაა. ჯერ ერთი რომ «სვერხ-შტატნი» გამრავლდა; მეორეც რომ იმას გამოეცვალა ბინადრობა, რეზიდენცია; ქალაქიდამ სოფლად გადმოსახლდა. რა გვეთქმის ამ მოხელეთა გამრავლებაზედ? ჩვენ არაფერი, მაგრამ აბა მოვუსმინოთ ტიპიხიძელ დედაბერს: მეფე ირაკლის, ტიპიხიძში მობძანების დროს, ერთმა ძონძებში გახვეულმა დედაბერმა მოწყალება სთხოვა. გულ-მტკივნეულ მეფეს შეებრალა ბებერი, მაგრამ რა შეიტყო, რომ მთხოვარა ცხრა შვილის დედაა, განრისხდა და უბძანა: „როგორ მოხდა, ბებერო, რომ ცხრა შვილის პატრონი მოწყალებას ითხოვო"!? „ჰო! შენი კვნესამე, ნეტავი ერთი მყვანდეს და შენისთანაო"!!! უპასუხა ბებერმა. ტიპიხიძელ ბებერზედ არა ნაკლებ ძონძებში გახვეული სოფლელობაც ამას ამბობს, რომ ერთი ხეირიანი ყურის მგდებელი გვერჩივნა, ამდენ „სვერხ-შტატნი ჩინოვნიკობასაო"!

* * *

სრულებითაც არ გვესიამოვნა ის უთანხმოება და აყალ-მაყალი, რომელიც ასტეხეს „დროების" ფურცლებზედ და რომელზედაც ასე იოხუნჯა ადგილობრივმა პოეტ-ალამ.

შემოგკტირის თარაშვილი:
ზეკუციამ დამზაგრაო,
სულიდა შემრჩა; სულს იქით
სახლში აღარა მაქვს-რაო!

*

წერილსა გწერს ერისთავი:
რა ყურს უგდებთ «პადლოგსა»!?
მტრის ენა რა სარწმუნოა?
აბა, ჭკვით ჰკით თითონ გლეხსა!!

*

გლეხიც მოგვითხრობს: ჩემ «მროხებს»
გადაავარეს ზურუსი, —
ჭეშმარიტებას მამტკიცებს
ბატონი ნოტარიუსი!

* * *

მართლაც და ჯერ გლეხმა თარაშვილმა შემოგვჩივლა წერილით, რომ ზეკუციის უფროსმა თ. მ. ერისთავმა საქონელი წამართვაო. მერე, ჭეშმარიტების აღსადგენად, თავადი ერისთავი გწერს გრძელ ეპისტოლეს, სადაც სიტყვები „პატიოსნება", ,,გამოლაშქრება" ,,საზოგადო სამშობლო საქმე" ,,ცრუ (?) ხალხთა მოყვარენი და სხვანი დომხალივით აურევია და სადაც თ. ერისთავი თარაშვილის წერილს უარ ჰყოფს, როგორც მტრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თვით ინგლისიც დაიხმაროს ამ საქმეში.

**საფრანგეთი.** ერთობ გამოურკვეველია საფრანგეთის მდგომარეობა ჩინეთში. აგერ რამდენი ხანია იქ იმყოფება საფრანგეთის ჯარი. ბევრი სისხლიც დაიღვარა, როგორც ფრანცუზებისა, ისე ჩინელებისა და ომი-კი ჯერაც არ არის ოფიციალურად გამოცხადებული. გუშინ მოსულს ცნობას, რომ ჩინეთი მზად არის დაუთმოს საფრანგეთს 20-ის წლით ფორმოზა, ოღონდ კი თავიდამ მოიშოროსო, დღევანდელი ცნობა ეწინააღმდეგება. ჩინეთს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია მოურიგდეს ასე თუ ისე საფრანგეთსაო.

ისე საათიც არ გაივლის, რომ ფრანცუზს გულის ტკენით არ მოაგონდეს ალზას-ლორენი. გაურჩევლად დასისა ყველა შეჰნატრის იმ დღეს, როდესაც ეს პროვინციები თავს დააღწევენ, გამოგლეჯილ იქმნებიან გერმანიის კლანჭებისაგან და მისი მცხოვრებნი, სულით და გულით ფრანცუზები, სიყვარულით ჩაეკვრიან გულს განშორებულს ძმათა.

გაზ. ,,ფიგაროში'' დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით: ,,ერთი დღე ამორჩევებზე ალზას ლორენში''. კორესპონდენტი ჰხატავს ამ გერმანიის პროვინციების ეხლანდელს ყოფა-ცხოვრებას. იგი მოუთხრობს, როგორ სასიამოვნოდ დარჩებოდნენ ორთავე მხარესა, როგორც ამომრჩევლებს, ისე ამორჩეულთ, რომ თავისუფალნი იყვნენ ამ მოვალეობისაგან. გინდ რეიხსტაგში გაგიგზავნია აქედამ ვინმე და გინდ დაგიკარგავს—ეგ ერთსა და იმავეს ნიშნავს ამათვისაო. ყველა, ვისაც შეჰხვდები, გულ-ჩათუთქვით იგონებს თავის სამშობლო საფრანგეთს. დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი, ახალგაზდა თუ მოხუცი—ყველა ცდილობს პატრიოტულ იდეათა აღორძინებას. ქვეყნის გაჩენიდამ იდგას მუდამ დაუთრგუნავს ძალაო—უმატებს გაზ. ,,ფიგაროს'' კორესპონდენტი.

# ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

ოქტომბრის 25-ს.

**ბაქო.** გაიხსნა სხდომა ნავთის მწარმოებელთა; სხდომაში მონაწილეობას იღებენ ოთხი სარკინის გზო და რამოდენიმე საგემო საზოგადოებათა წარმომადგენელნი. განსარჩევია შემდეგნი უმთავრესი საგანნი: კეროსინის აფეთქება, სამზღვარ-გარეთ გასატან ნავთზე ბაჟის დაწესება, განწყობა ნავთის შადრევანებისა და ნავთის მილის გაყვანა შავ-ზღვამდის.

**ბერლინი.** აქ მოვიდა დ. მ. მიხეილ ნიკოლოზის-ძე მეუღლით და ხვალ საღამოს გაემგზავრებიან პეტერბურგს.

**პარიჟი.** ოთხშაბათიდამ ხუთშაბათამდის აქაურს საავადმყოფოებში იყო 11 ავადმყოფი ხოლერით; ამათგან მოკვდა 7; ამას გარდა ქალაქის სხვა კუთხეებშიაც გახდა რამდენიმე კაცი ავად. მათ შორის რამდენიმეც მოკვდა.

**ტიანძინი.** იუნანის გუბერნატორი ჰკრებს ჯარს წო-ნუნ-ტანგის მისაშველებლად, რომელიც უფროსობს ჩინეთის სამხრეთ პროვინციის ჯარებს.

**ნიუ-იორკი.** უკანასკნელ ოფიციალურ ცნობებიდამ ამორჩევებზე სჩანს, რომ უპირატესობა დემოკრატს კლივლენდს უნდა დარჩეს, თუიცა რესპუბლიკური კომიტეტი აცხადებს რესპუბლიკელის ბლენის გამარჯვებას.

,,ს. პეტერბურგის უწყებანი'' გვატყობინებენ რომ გუბერნატორთა უმრავლესობა წინააღმდეგია კახანოვის კომისიის მიერ განზრახულის წოდებათა განურჩეველის სოფლისა, როგორც ადმინისტრაციულის ერთეულისაო; მაგრამ გუბერნატორებს მაინც საჭიროდ დაუნახავთ ცოტაოდნად შეიზღუდოს სასოფლო კრებათა და საგლეხო წოდებრივ სამსაჯულოთა უფლება, რომ დაწესდეს ნამდვილი სამსაჯულო და ადმინისტრაციული კონტროლი გლეხთა თვითმმართველობისა და რომ მოქმედებანი ყველა სამაზრო ორგანებისა გაერთიანებულ იქმნას კოლეგიალურ სამაზრო მმართველობად.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკს აუწევია დისკონტი 6%-მდე.

**შანხაი.** ჩინეთის მმართებლობას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია შერიგება საფრანგეთთან და ითხოვს რომ პეკინში მოვიდეს ლი-ხუნ-ჩანგა.

**პარიჟი.** გაზეთები გვაუწყებენ, რომ რამდენიმე შემთხვევა ყოფილა პარიჟში ხოლერით ავად-გახდომისა. შესაფერი ღონისძიებანი იქმნა მიღებული ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველადაო.

ინგლისმა შეუთვალა საფრანგეთს, რომ ჩინეთთან მოგარიგებო; მაგრამ ამის შესახებ ჩინეთისთვის არა შეუტყობინებია რა.

ხმები ისმის, რომ საფრანგეთსა და ჩინეთს უშეამავლოდ აქვთ ერთმანერთთან მოლაპარაკებაო.

**პეშტი.** ვენგრიის დელეგაციის

---

ბისაგან მოხერხებულს ,,პადლოგს''. «ჩემი მტრების სასირცხვილოდ, ბძანებს თ. ერისთავი, აღმოჩნდა, რომ თარაშილს წერილი არც თვითონ დაუწერია და არც არავისთვის უთხოვნია დამიწერეთო». ამ საქმეზედ დანიშნული გამოძიებაც ამას ეთანხმება... უკვე საიდანაც გამოტყვრება ნოტარიუსი (აი, დალახვროს ღმერთმა, ეს სადღა გამოუჩნდა თ. ერისთავს ამხენ «მტრებში») და თავის ბეჭდის დამით ამტკიცებს თარაშვილის მეორე წერილს: «პირველადაც მე ვჩივლი და მეორედაც მე ვჩივიო.» ახლა ვიღას ,,სასირცხვილოდ აღმოჩნდა'', რომ წერილი ნამდვილად თარაშვილისა ყოფილა და არის კიდე? რასაკვირველია თარაშვილის სარცხვილოდ, რომელმაც გადათქვა გამოძიებაში თავის წერილი; მაგრამ ამასაც კი ეპატიება ეს ,,გადამა'', თუ ვიქონიეთ მხედველობაში, აქა ამბავი XVII საუკუნეში სამეფსა შინა იტალიისასა მომხდარი: იყო ლომად სწავლული და მეცნიერი ვინმე გალილეი, რომელიც ამტკიცებდა: მზე კი არ ამოდის და ჩადის, როგორც ჩვენ გვეჩვენება, არამედ, გაჩაღებულ ბუხარივით, ერთ ალაგას უძრაო; ბზრიალივით დედა-მიწა კი მის წინ ტრიალებს, ხან ერთ მხარეს იზამს მზისკენ, ხან მეორესა და იმიტომაც წარსდგება დედა-მიწაზე ნათელი დღე და ბნელი ღამეო. ამნაირი აზრებისთვის, გალილეი სცნეს ღვთის—უარყოფელად და ჩაუყენეს ინკვიზიცია შინდელი დროის ზეკუცია). შეშინებულმა გალილეიმ უარ ჰყო დედა-მიწის ბრუნვა, მაგრამ, სიკვდილის ,,პრიგავორს'' რომ გადარჩა, ველარ მოითმინა და, ფეხების ტყაპატყუპით, მიაძახა ინკვიზიტორებს: მაინც და მაინც დედა-მიწა ტრიალებსო!''

***

ღიალ! ისტორიაში გალილეის მაგალითი პირველი არ არის მასზე, რომ, რაც ერთ დროს დევნულა,—მეორე დროს მიღებულა და თაყვანცემულა; ერთი და იმავე ჭეშმარიტების გამო, ზოგს უტირნია—ზოგს უცინია; ზოგი ჭირში ყოფილა—ზოგი ლხინში. ეს ისტორიული მაგალითები ადვილად აიხსნებიან, მაგრამ რითი აიხსნება ის მაგალითი ჩვენი პროვინციის ისტორიაში, რომ, როცა ოთხივ-კუთხივ მოისმოდა ჩივილი სხვა-და-სხვა თარაშვილებისა, მაშინ ,,შეიყარნენ ყმაწვილები'' და გაგზავნეს არა მკითხე დეპუტაცია: ,,რა ყურს უგდებთ ამ ჩივილს. ამ ,,დეპუტანტობამ'' სიცილის მეტი არა გამოიწვია-რა ჩვენს პროვინციაში. დღესაც ვიცინით ამაზედ, მაგრამ ახი არ იქმნება ჩვენთვის ,,რევიზორის'' გოროდნიჩის სიტყვები: რომ იცინით, რის იცინითო: თქვენს თავსდასცინითო!

ამ დეპუტაციის შემდეგ მოხდა კიდეც, რომ ,,Кавказъ''-ს (ნომერი არ მახსოვს) სწერდნენ ჩვენი პროვინციიდან, სხვათა-შორის, ამასაც: ყველანი კმაყოფილნი ვართ; ჩივილი და ტირილი ზეკუციის გამო უსაფუძვლოა და ასტეხა ერთმა არ მიღებულმა მაზრის დამცველად პირმაო (не признанный охранитель уѣзда). ვიზე გვითითებენ. არ ვიცით; მაგრამ უნდა კაცმა სთქვას კი, რომ ძრიელ უალაგო ალაგს იკბინება ბ. კორესპონდენტი; სჩიოდა და ტიროდა თარაშვილი და კამპანია, და არა ვინმე ,,не признанный охранитель уѣзда''.

***

მე არ ვიცი, რაღას განიძრახვენ ეხლა ეს ცხრა-აღლიანი ,,დეპუტანტები'', თარაშვილის მეორე ჩივილის გამო, რომელსაც ამტკიცებს ნოტარიუსი, მაგრამ ის კი ვიცი რომ, შეიძლება ჩვენს პროვინციაში გამოიგონონ ამისთანა ,,დონესენიე'': ,,ბ. ნოტარიუსი აქეზებს გლეხს თარაშვილს საჩივლელად თ. მ. ერისთავზედ, რომლის (რასაკვირველია, ნოტარიუსის) წინააღმდეგ საჭიროა რაიმე ,,სასტიკი ზომების'' მიღება: ნუ გაგიკვირდება, მკითხველო! ნოტარიუსზე არ იყოს, სხვაზედ იყოს, და არის კიდეც! ძნელი დასაჯერია, მაგრამ, ჰამლეტისა არ იყოს: ოჰ, ჩემო გარაციო, ბევრი რამ არის ქვეყანაზედ, რომ ბრძენთაც-კი არ მოსიზმრებიათო!''

მაშ ნულარავის უკვირს, რომ საფრენი მაშინა გამოიგონეს ფრანცუზებმო, რომელთაც ქართველები არ ჩამოურჩებით სხვა-და-სხვა გამოგონებაში...

გიორგი ლომკარ-ძე.

ს. სიღნაღში.

(შემდეგი იქნება)

---

**პ. მ.** ეს ,,ხმა'' შეწყვეტილი მქონდა, რომ შემდეგი წერილი მივიღე: მოწყალეო ხელმწიფევ! ,,დროება'' არას მიბეჭდავს... (ეჰა! სოფელო დალუპულო)! უკამასხნელად მოგმართავთ თქვენ, როგორც ,,დროებაში'' ერთი ,,ხმის'' მქონეს; თუ თქვენს რედაქტორს ჰსურს იყოს ხელ-მეორედ ამორჩეული ბანკის დირექტორად, შემდეგი მაინც დაბეჭდოს თავის ახალ-მოდნურ განცხადებებში:

ჩემს ლექსებს

და ,,დროებაში'' ჭეშმარიტების აღსადგენად, ჩემგან ჩწერილ წერილებს ეძლევათ სუბსიდია ადგილობრივი მთავრობისგან. ჩნც ლექსებს ზეპირად არ დაისწავლი და წერილებში რაიმე ექნეს შეიტანს მოვეპყრობი ზეკუციის კანონთ კრების მეხუთე მუხლის ძალით.

თ. მ. ე.

(2—10)

სამხედრო კომისიამ ჯენშის ურით გადასწყვიტა არა-ჩვეულებრივი სამხედრო ბიუჯეტის მიღება და სხვათა შორის ხარჯი გრაკოვისა და ფუშმისლის გამაგრებისათვის.

ავსტრიის დელეგაციაში მინისტრმა კალნოკიმ სთქვა, რომ ბოსნიის და გერცეგოვინის მდგომარეობა შესამჩნევად გამჯობესდა და მიღებულნი არიან ღონის-ძიებანი ამ მხარის მომეტებულის განვითარებისათვის.

ოქტომბრის 27-ს

**კონსტანტინოპოლი.** სომხეთ-გრიგორიანების პატრიარხი ნერსესი გარდაიცვალა.

**ლონდონი.** კანონ-პროექტი საარჩევნო ცვლილების შემოღებაზედ მიღებულ იქმნა პალატისაგან მეორედ წაკითხვის დროს.

**პარიჟი.** მინისტრებმა განუცხადეს ტონკინის საქმეებისათვის დანიშნულს საპარლამენტო კომისიას, რომ თუ წლის დამლევამდე ჩინეთთან შეტაკების საქმე არ გათავდა, მმართებლობა მოითხოვს 40 მილიონ ფრანკს კრედიტსაო; 17 მილიონის გადადება სახელდახელო ხარჯისათვის ტონკინში იცისრა კომისიამ.

## ცნობანი

**სააპელაციო დირექტორი ბ-ნი ეერმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გერიშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულ საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად ამ ოქტომბრის 5 დღეს შემოწირული იქმნება მეხრე-ებთა შესაფერისისთვის სამლოცველოში მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინოვი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-შაჰნაზაროვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილიპოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქმისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

**მახანდა**

ხორაგის რომელიც იყიდება თბილისის ბზრებში, დუქნებში და ხელდახელ ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1884 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამოსცხვარი პური რუსის ფქვილისა | —1 გირ. | 5 კ. |
| აჯაფის ფქვილისა:-პირველი ხარისხისა | —1 გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა | —1 გ. | 2 კ. |

იმავე ფქვილ. თონეებში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა | —1 გ. | 3 კ. |
| მესამისა | —1 გ. | $2^1/_2$ |

ჭვარის-ბამი პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორე ხარის. ლავაში | 1 გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა | —1 გ. | 3 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 7 კ. |
| მეორისა | —1 გ. | 6 კ. |
| სუკი | —1 გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 7 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | — კ. |
| მეორისა | —1 გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით სწრაფი 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და პარასკევობით სწრაფი 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

**არითმეტიკა**

სახელმძღვანელოდ სოფლის სკოლებისათვის, შედგენილი მიხეილ ზაალიშვილისაგან.

ფასი 80 კ. გაგზავნით 1 მან. (10—5)

## არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—24)

**სამგვარი სიყვარული**

მოთხრობა

აკაკი წერეთლისა

(„დროების“ რედაქციის გამოცემა)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ორ ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი ისყიდება **თბილისში** გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, შაკერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. **ქუთაისში** ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, **თელავში**, საზოგადოების დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც. (10—3)

## ინგლისის მაღაზიაში

**თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი**



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—79)

იქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სნოტები თავის ტკივილის ასასხსნელად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

**საკლობუსი**  **კალმები**

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე ამყრებული სხვა-და-სხვა გვარი კალმები უფროსს «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლუქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, საპონი, ცარმშუგა ჭურჭლის საწმენდი (პორაქსა) თითრუგნელისათვის, პატარა ხელის იატაკისათვის, გლიონები, ტუხტები, სავარცხლები, საჭმელები, სავარცხლები, ბუმები, ზარები, ზინოგლები რულეტები, გატერპისები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეჭვები, ნემსები, მაგნიტები, სპოტები, ჰომანი, ქამრები, სარტყლები, პრიკები, საპრიკები, კრანები, ფილტრები, შამპიები, თავისი ტანისამოსისა, ცხენის და პატენტიანი მაგნიტოფნები, გრაგები, სასქამი ქაღალდი ატრე-გრაფისათვის და სხვ. და სხვ.

კატალოგი—20 კ. (100—21)

**გამოვიდა და ისყიდება**

## ელისო

მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. ყაზბეგისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულ სათეატრო კასაში.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი: **ელგუჯა**, ისტორიული მოთხრობა. **არსენა**, დრამა 3-ს მოქმედებად. **დილა ქორწილის შემდეგ**, კომ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის“ პირველი ტომის, პირველი ნაწილი. (20—8)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | მოსკოვის ჩაის | |
|---|---|---|---|
| | 1 მ. 10 კ. | | 1 მ. 40 კ. |
| — — | 1—20 | — — | 1—60 |
| — — | 1—40 | — — | 1—80 |
| — — | 1—60 | — — | 2— ,, |
| — — | 1—80 | — — | 2—50 |
| სუფთა ჩაი 2— ,, | | — — | 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საჭირო ნივთები, რვეულები, კრისტალის ჭურჭელი, ხაიენსი, ქასაყრები, დანები, კოვზები, ტატები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მარმელადი, მალაგა, ყველი, პეჩენები, კიდარები, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელსახოცები, მაგნიტურის გამოსაჭრელი—სული და ნემსები 25-დამ 50 პროცენტამდე უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელიმე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს ამოიწერს, გასაგზავნს არაფერს იხდის. (100—93)

**გამოჩენილი იფრინდ რუდოლფ ბლონდე**

მართავს წარმოდგენას მუშაიდში დღეს ოქტომბრის 28-ს წარმოდგენა დაიწყება ნაშუადღის 4 საათზე. 3 საათიდამ დაუკრ მუზიკა. დაწვრილებითი ცნობ აფიშებში. (—2)